

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძაბია - კოლეგიის წევრი

ხათუნა ფურელიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ხ.

წარმომადგენელი: ადვოკატი ხ. დ., სიითი /№5220/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.05.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 068/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ, სიითი /№5187/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

- 1.1 2019 წლის 31 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ხ.-მ ადვოკატ ვ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. 2019 წლის 16 ივლისს საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ხ. დ. ესწრებოდა 2021 წლის 21 ოქტომბრისა და 2021 წლის

16 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებს, სადაც წარმოადგენდა საჩივრის ავტორის პოზიციას.

- 1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ვ. მ. მას საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამოქალაქო საქმეზე, კერძოდ სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე.
- 1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ვ. მ.-მა დაურეკა და სასწრაფოდ დაიბარა იუსტიციის სახლში, სადაც განუმარტა, რომ სასწრაფოდ მოეძებნა სანდო პიროვნება, რომელიც მიწის ნაკვეთს გადაიფორმებდა, რადგან შეიძლებოდა იპოთეკარებს უძრავი ქონება დაეყადაღებინათ. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოკლე დროში ვერ შეძლო სანდო ადამიანის მოძებნა, რის შემდეგაც ადვოკატმა შესთავაზა მიწის ნაკვეთის მასზე გადაფორმება და დაპირდა, რომ მიწის ნაკვეთს მისთვის სასურველ დროს დაუბრუნებდა.
- 1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, უძრავი ქონების გადაფორმების სანაცვლოდ ადვოკატ ვ. მ.-ისაგან თანხა არ მიუღია.
- 1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, შეუთანხმდა იპოთეკარებს, რომ მიწის ნაკვეთს გაასხვისებდა და მიღებული თანხით მათ ვალს დაუბრუნებდა, რის შემდეგაც მიმართა ადვოკატს მიწის ნაკვეთის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა ადვოკატმა ვ. მ.-მა მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ 5000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მიწის ნაკვეთი იპოთეკით დატვირთა, მიუხედავად იმისა, რომ კლიენტთან შეთანხმების მიხედვით, მას უძრავი ნივთის უფლებრივად დატვირთვა ეკრძალებოდა.
- 1.6 გ. ხ.-ს განმარტებით, ადვოკატ ვ. მ.-ს მისთვის საქმის მასალები არ დაუბრუნებია. საჩივრის ავტორი ადვოკატისაგან ითხოვს საქმის მასალებისა და მიწის ნაკვეთის დაბრუნებას.
- 1.7 2021 წლის 21 ოქტომბრისა და 16 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ხ. დ.-მა დაადასტურა საჩივარში აღწერილი გარემოებები და მოითხოვა ადვოკატ ვ. მ.-ის დისციპლინირება.
- 1.8 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, საჩივრის ავტორმა, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, ადვოკატ ვ. მ.-ის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მათ შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა.

2. საჩივრის ავტორის მოწმის ქ. ხ.-ს განმარტება:

- 2.1 2021 წლის 16 ნოემბერს, საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე, განხილვის კოლეგიის სხდომაზე, მოწმის სახით გამოიკითხა ქ. ხ., რომელიც არის გ. ხ.-ს შვილი. მოწმის განმარტებით, 2013 წლის 7 მარტს საჩივრის ავტორი იძულებით გამოასახლეს სახლიდან, თუმცა სახლის მიმდებარე 141 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარჩა გ. ხ.-ს საკუთრებაში. შემდგომში, მიწის ნაკვეთზე წარმოშობილ დავაზე საადვოკატო მომსახურების მისაღებად დაუკავშირდნენ ადვოკატ ვ. მ.-ს და მხარეებს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება საადვოკატო მომსახურებაზე.

- 2.2 მოწმის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 1000 ლარი, საიდანაც 300 ლარი გ. ბ.-მ ნაღდი ანგარიშსწორების გზით გადაუხადა ადვოკატ ვ. მ.-ს, ხოლო დარჩენილი 700 ლარი კლიენტს საქმის დასრულების შემდეგ უნდა გადაეხადა. ადვოკატი ვ. მ. მათ ინტერესებს იცავდა სამოქალაქო საქმეზე. სასამართლო სხდომები მიმდინარეობდა დაახლოებით სამი წლის განმავლობაში, რა დროსაც ადვოკატი არ აწვდიდა ინფორმაციას კლიენტს საქმის მსვლელობაზე.
- 2.3 მოწმის განმარტებით, იპოთეკარებისაგან თავის დასაცავად, გ. ბ.-ს სურდა მიწის ნაკვეთის გაყიდვა, თუმცა მისი გასხვისება ან სხვა პირის სახელზე გადაფორმება მოკლე დროში ვერ მოხდა, რის გამოც ადვოკატი ვ. მ. დაუკავშირდა და უთხრა, რომ მისულიყვნენ იუსტიციის სახლში, სადაც გადაიფორმებდა მიწის ნაკვეთს და როცა მათი სურვილი იქნებოდა უკან დაუბრუნებდა უძრავ ქონებას. მოწმის განმარტებით, გ. ბ.-მ ადვოკატ ვ. მ.-ს გადაუფორმა ორი მიწის ნაკვეთი.
- 2.4 ქ. ბ.-ს განმარტებით, ადვოკატს შეუთანხმდნენ, რომ უძრავი ქონების გაყიდვის შემდეგ თანხის ნაწილი გადაეცემოდა იპოთეკარებს, ხოლო 5000 აშშ დოლარი გადაეცემოდა ადვოკატს მომსახურებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონება არ გაიყიდებოდა, ადვოკატისთვის წარმატების ჰონორარი არ იყო განსაზღვრული.
- 2.5 მოწმის განმარტებით, ადვოკატ ვ. მ.-ის რეკომენდაციის შესაბამისად, მანაც გაუფორმა მინდობილობა ადვოკატ ვ. მ.-ს. ქ. ბ.-სთან ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, უნდა ეწარმოებინა სისხლის სამართლის საქმე.
- 2.6 2021 წლის 16 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, მოწმე ქ. ბ.-მ განმარტა, რომ გ. ბ. მოურიგდა იპოთეკარებს, რის შემდეგაც უძრავი ქონების დაბრუნების მიზნით მიმართა ადვოკატ ვ. მ.-ს. ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა მხოლოდ ერთი მიწის ნაკვეთი.
- 2.7 2021 წლის 16 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, მოწმე ქ. ბ.-მ განმარტა, რომ მეორე მიწის ნაკვეთის დაბრუნებაზე, რომლის ფართობიც შეადგენდა 141 კვ.მ-ს ადვოკატმა უარი განაცხადა და სანაცვლოდ მოითხოვა 5000 აშშ დოლარის გადახდა. მოწმე აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ვ. მ.-მა უძრავი ქონება იპოთეკით დატვირთა, თუმცა მხარეებს შორის არსებობდა მოლაპარაკება, რომლის მიხედვით ადვოკატს მიწის ნაკვეთის გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა ეკრძალებოდა.
- 2.8 მოწმის პოზიციით, ქონების გადაფორმება მოხდა ფორმალურად, რადგან იპოთეკარებს მასზე არ დაედოთ ყადაღა, ადვოკატმა კი შექმნილი მდგომარეობით ბოროტად ისარგებლა. ქ. ბ. განმარტავს, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის არ გადაუხდია მიწის ნაკვეთის საფასური და 2015 წლის 04 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, სადაც ხელმომწერ მხარეებს წარმოადგენენ გ. ბ. (გამყიდველი) და შპს „----“-ის დირექტორი ვ. მ., მითითებული მუხლი სიმართლეს არ ასახავს. მოწმის პოზიციით, გ. ბ.-ს აღნიშნულ მუხლზე ყურადღება არ გაუმახვილებია, რადგან ენდობოდა ადვოკატ ვ. მ.-ს.
- 2.9 მოწმე ქ. ბ.-ს განმარტებით, ადვოკატმა არამართლზომიერად მიისაკუთრა გ. ბ.-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რასთან დაკავშირებითაც, ადვოკატის წინააღმდეგ მიმართეს სასამართლოს და მათ შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა.

3. ადვოკატის პოზიცია:

- 3.1 ადვოკატმა ვ. მ.-მა ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2019 წლის 14 აგვისტოს, ხოლო საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა 2019 წლის 12 სექტემბერს. ადვოკატი ვ. მ. დაესწრო 2021 წლის 21 ოქტომბრისა და 16 ნოემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებსაც, სადაც არ დაეთანხმა საჩივარში ასახულ გარემოებებს.
- 3.2 ადვოკატის განმარტებით ის იცავდა გ. ხ.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. მხარეთა შეთანხმებით საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 5000 აშშ დოლარი. გ. ხ.-ს საკუთრებაში არსებული ქონება დატვირთული იყო იპოთეკით, ქონების რეალიზაციის შემდეგ კი მოხდა მისი ოჯახის წევრების გამოსახლება. უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვამდე, ქონება გაიმიჯნა, რის გამოც გამოიჯნული მიწის ნაკვეთი იპოთეკით არ დაიტვირთა. აღნიშნული ინფორმაცია გ. ხ.-სთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, მას შემდეგ რაც მოხდა ქონების აუქციონზე რეალიზაცია. შესაბამისად, გ. ხ.-ს საკუთრებაში დარჩა მიწის ნაკვეთი, სამართლებრივად თავისუფალ მდგომარეობაში.
- 3.3 ადვოკატის განმარტებით, გ. ხ.-ს ინტერესები კეთილსინდისიერად და ჯეროვნად დაიცვა. ადვოკატის პოზიციით, მისი ჩართულობის შედეგად სასამართლომ გააუქმა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და საჩივრის ავტორის კუთვნილი უძრავი ქონება გათავისუფლდა ყადაღისაგან, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, მოსარჩლეებმა გაიხმეს სარჩელი.
- 3.4 ადვოკატის განმარტებით, საქმის შედეგებზე საჩივრის ავტორისათვის გარანტია არ მიუცია. ადვოკატი უარყოფს იმ ფაქტს, რომ გ. ხ.-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა 03 წლის განმავლობაში.
- 3.5 2019 წლის 14 აგვისტოს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატმა განმარტა, რომ საჩივრის ავტორს მისთვის არ გადაუცია დოკუმენტები და საქმის მასალებს დამოუკიდებლად, ელექტრონული საქმისწარმოების ერთიანი ელექტრონული ბაზის მეშვეობით ეცნობოდა. შესაბამისად, მოკლებული იყო შესაძლებლობას საქმის მასალები დაებრუნებინა გ. ხ.-სათვის. აღნიშნული გარემოება ადვოკატმა ვ. მ.-მა დაადასტურა 2021 წლის 21 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზეც. ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილ ახსნა-განმარტებასა და განხილვის კოლეგიის 2021 წლის 21 ოქტომბრისა და 16 ნოემბრის სხდომებზე ადვოკატმა განმარტა, რომ გ. ხ.-მ ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა საინვესტიციო კომპანია „----“-სთან, რომლის დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი არის ვ. მ.. ადვოკატის განცხადებით, უძრავი ქონება უფლებრივად დატვირთა ახალმა მესაკუთრემ, ხოლო კომპანიასა და გ. ხ.-ს შორის გარიგების დადებისას, ის არ ახორციელებდა საჩივრის ავტორის საადვოკატო მომსახურებას და დასახელებულ ურთიერთობაში არ მონაწილეობდა როგორც გ. ხ.-ს ადვოკატი. ვ. მ.-ის პოზიციით, კომპანიასა და საჩივრის ავტორს შორის წარმოშობილ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობდა როგორც შპს-ს დირექტორი და ახორციელებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. ადვოკატის პოზიციით, მიწის ნაკვეთი გასხვისდა გ. ხ.-

ს ნების შესაბამისად, ხოლო ის, როგორც მყიდველი, კეთილსინდისიერად მონაწილეობდა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში.

3.6 ადვოკატის განმარტებით, უძრავი ქონების გადაფორმებისას, ის ვერ გამოიყენებდა საადვოკატო საქმიანობის დროს კლიენტისაგან მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, ვინაიდან მიწის ნაკვეთი გადაიფორმა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული, ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

3.7 ადვოკატმა ვ. მ.-მა 2021 წლის 21 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მან, ქ. ხ.-სგანაც მიიღო მინდობილობა, თუმცა აღნიშნული მინდობილობის გაფორმება არ უკავშირდებოდა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული საქმის წარმოებას. ადვოკატის განმარტებით, მასსა და ქ. ხ.-ს შორის არსებული ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ადვოკატ ვ. მ.-ს უნდა ეწარმოებინა ქ. ხ.-ს სამოქალაქო საქმე, რაც წარმოადგენდა ქ. ხ.-ს პირად, სახელშეკრულებო დავას. ადვოკატის განმარტებით, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე კლიენტს არასოდეს შეთანხმებია.

3.8 ადვოკატის განმარტებით, მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18.05.003.090) შეძენისას, კომპანიამ, გ. ხ.-ს გადაუხადა 6000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, რაც დასტურდება მხარეებს შორის 2015 წლის 04 მარტს დადებული ხელშეკრულების 2.2 მუხლით.

3.9 ადვოკატის განმარტებით, მისი ქმედებების შედეგად, გ. ხ.-ს ინტერესებს ზიანი არ მისდგომია. უძრავი ქონება კომპანიამ შეიძინა ნივთის საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით მაღალ ფასად, რაც დასტურდება 2021 წლის 13 ივლისს აუდიტური კომპანია შპს „გ. ს. ჯ.“-ის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ დასკვნით, სადაც უძრავი ნივთის ღირებულებად განისაზღვრა 4626 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

3.10 ადვოკატის განმარტებით, გ. ხ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, შესაბამისად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

4.1 საპროცესო კოლეგიამ 2020 წლის 28 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. მ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ დარღვეული შეიძლება იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით („აპეკ“) დაცული ადვოკატის დამოუკიდებლობის (2.1 მუხლი); კეთილსინდისიერებისა (8.5 მუხლი) და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის (6.2(ბ) მუხლი) პრინციპები, იმ შემთხვევაში, თუ განხილვის ეტაპზე დადასტურდება, რომ ადვოკატი ვ. მ. მოქმედებდა პირადი ინტერესით - ის უძრავი ქონება, რაზეც საადვოკატო მომსახურებას უწევდა საჩივრის ავტორს, შეიძინა საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად და არ უზრუნველყო გ. ხ.-სათვის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით წარმომოხილი სამართლებრივი რისკების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.

4.3 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ შესაძლებელია დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5(ა) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2.1, მე-6.2(ბ) და მე-8.5 მუხლები.

4.4 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ არ არის დარღვეული საქმისწარმოების მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება (ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი), რადგან საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია დასახელებული პრეტენზიის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები

5.1 ადვოკატი ვ. მ. გ. ხ.-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა სამოქალაქო საქმეზე, კერძოდ სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაზე. მხარეებს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოიშვა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 12 თებერვალს წარდგენილი საჩივარი სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე;
- ადვოკატ ვ. მ.-ის მიერ შედგენილი შესაგებელი.

5.2 გ. ხ.-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი შეიძინა საინვესტიციო კომპანიამ „----“, რომლის დირექტორი არის ვ. მ.. საპროცესო კოლეგიისათვის, ნასყიდობის ხელშეკრულება და ქონების შეფასების აქტი მხარეებს წარდგენილი არ ჰქონიათ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2015 წლის 04 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება
- 2018 წლის 18 ივნისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N892018520310.

5.3 2015 წლის 04 მარტს ვ. მ.-სა და გ. ხ.-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების პერიოდში, ვ. მ. კვლავ წარმოადგენდა გ. ხ.-ს ადვოკატს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ადვოკატის მიერ 2015 წლის 23 მარტს გ. ხ.-ს ინტერესების სასარგებლოდ შედგენილი შესაგებელი.

5.4 სადავოა მიწის ნაკვეთის ადვოკატ ვ. მ.-ისათვის გადაფორმებისას გ. ბ.-ს მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა და მიწის ნაკვეთის გამყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის მიღება.

- საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მიწის ნაკვეთი ადვოკატ ვ. მ.-ის გადაუფორმა ფორმალურად, რადგან იპოთეკარებს მასზე არ დაედოთ ყადაღა. ადვოკატმა ბოროტად ისარგებლა აღნიშნული სიტუაციით და უძრავი ნივთის გადაფორმების შემდეგ, უარი განაცხადა მის დაბრუნებაზე. გ. ბ.-ს განმარტებით, ვინაიდან გარიგება იყო ფორმალური ხასიათის, მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ თანხა არ მიუღია. საჩივრის ავტორის არ დაკვირვებია 2015 წლის 4 მარტის ხელშეკრულების 2.2 მუხლის ჩანაწერს, რომელიც არ ასახავს სინამდვილეს.
- ადვოკატის განმარტებით, გარიგება არ ატარებდა ფორმალურ ხასიათს და არ ეწინააღმდეგებოდა გ. ბ.-ს ინტერესებს. გარიგების დადებისას ის, როგორც შპს-ს დირექტორი, ახორციელებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და საქმეში არ მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი. კომპანიამ მიწის ნაკვეთი საბაზრო ფასზე გაცილებით მაღალ ფასად შეიძინა და სრულად გადაუხადა გ. ბ.-ს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური. აღნიშნული გარემოებას ადასტურებს შეფასების დასკვნა და ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის 2.1 და 2.2 მუხლებში მითითებულია მიწის ნაკვეთის საფასური და შეიცავს პირობას, რომ გამყიდველმა მიიღო მიწის ნაკვეთის საფასური.

საქმის მასალების შესწავლით ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ გ. ბ.-სა და შპს „საინვესტიციო სახლი ---ს“, რომლის დირექტორს წარმოადგენდა ვ. მ., შორის დაიდო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება. მყიდველმა გამყიდველს გადაუხადა მიწის ნაკვეთის საფასური - 6000 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში. გამყიდველის მიერ მიწის ნაკვეთის საფასურის მიღება დასტურდება მხარეთა ხელმოწერებით. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ მხოლოდ ამ სადაო ფაქტის დადგენისას მხარის განმარტების დაპირისპირებისას წერილობით ხელშეკრულებასთან, თან როდესაც განმარტების მიცემიდან გასულია არაერთი წელი, წერილობით ხელშეკრულებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. გ. ბ.-ს შეცილება მიწის ნაკვეთის გაყიდვისას მის გამოვლენილ ნებაში სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლებს და სასამართლოს მიერ განსახილველი საკითხია.

6. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. მ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

7. სამართლებრივი შეფასება

- 7.1 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.1 მუხლი წარმოადგენს ზოგად ნორმას და მოცემულ შემთხვევაში, ქმედების კვალიფიკაციისას შეუძლებელია გამოყენებული იყოს სპეციალური ნორმისაგან დამოუკიდებლად. ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა აღიძრას სპეციალური ნორმის გამოყენებით, ვინაიდან

ზოგადი ნორმების სუბსიდიური მოქმედების გათვალისწინებით, ზოგადი საკანონმდებლო დანაწესის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმა. ხოლო, ზოგადი პრინციპები უპირველესად სპეციალური ნორმების განსამარტად და მათი მიზნის დასადგენად უნდა იქნას გამოყენებული.

7.2 მოცემულ საქმეში დევნა აღძრულია, როგორც დამოუკიდებლობის ზოგადი პრინციპის სავარაუდო დარღვევის - აპეკ 2 მუხლი, ასევე ადვოკატის პირადი ინტერესების გამო ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმის აპეკ 6.2(ბ) მუხლის სავარაუდო დარღვევის საფუძველზე. ადვოკატის პირად ინტერესსა და კლიენტის ინტერესს შორის ინტერესთა კონფლიქტის არსებობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ადვოკატის დამოუკიდებლობის ხარისხზე. შესაბამისად, დამოუკიდებლობის პრინციპი უნდა შემოწმდეს ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელ ნორმასთან ერთობლიობაში და არა განცალკევებით. შედეგად, განხილვის კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დარღვევაზე:

„ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ინტერესებთან“ (აპეკ-ის მუხლი 6.2(ბ)).

7.3 მხოლოდ აღნიშნული ნორმა არ წარმოშობს ვალდებულებას და ის დამაზუსტებელ ნორმას წარმოადგენს. შესაბამისად კომისია მას განიხილავს აპეკ-ის იმ ნორმასთან ერთად, რომელიც ადგენს ვალდებულებას. მოცემული საქმის გარემოების გათვალისწინებით, ასეთია 6.4 მუხლი

„ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში“ (08.12.2012).

7.4 კომისია აქვე განმარტავს, რომ ნორმის დაზუსტება არ ხელყოფს სამართლიანი განხილვის უფლებას ადვოკატისთვის, რადგან ამ სამართლებრივი დაზუსტებით არ იცვლება საფუძველი, რის გამოც დევნა აღიძრა - ადვოკატის პირადი და კლიენტის ინტერესების დაპირისპირება.

7.5 „ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე N086/17, პარ. 7.3).

7.6 განხილვის კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა არაკეთილსინდისიერად იმოქმედა, ისარგებლა კლიენტის ნდობით და ნასყიდობის ხელშეკრულებაში ასახა ცრუ ინფორმაცია, რის გამოც გ. ხ.-ს ინტერესებს მიადგა ზიანი.

განხილვის კოლეგიის შეფასებით, არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ვ. მ.-მა დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული მუხლები:

„ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ (ადვოკატთა შესახებ კანონის 5(ა) მუხლი).

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის („აპეკ“) მუხლი 8.5).

7.7 „ადვოკატის მიერ კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელება გულისხმობს, ყველა იმ საჭირო საპროცესო მოქმედების განხორციელების ვალდებულებას, რომელიც კლიენტის ინტერესების დასაცავად საჭირო და კანონდამბლობითაა გათვალისწინებული (ეთიკის კომისიის 2017 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე 069/16, პარ. 6.2).

7.8 ადვოკატის პირადი ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატი სადაო ქონებაში საქმისწარმოების პროცესში იძენს ქონებრივ ინტერესს. ამ შემთხვევაში არ განსხვავდება ადვოკატი მოქმედებს, როგორც ფიზიკური პირი, ან როგორც კომპანიის კანონისმიერი წარმომადგენელი. ამ შემთხვევაში ადვოკატმა კლიენტი უნდა დაარწმუნოს, რომ გარიგების დადება საბაზრო ფასით ხდება და კლიენტს მისცეს ყველანაირი შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. ადვოკატმა წარმოადგინა მტკიცებულება (რაც არ იყო წარდგენილი საპროცესო ეტაპზე), რომ უძრავი ქონების შეძენა სამართლიანი ფასით მოხდა. 2021 წლის 13 ივლისის აუდიტური კომპანია შპს „გ. ს. ჯ.“-ის მიერ გაცემულ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ დასკვნაში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთის ს/კ 01.18.05.003.090, მდებარე - ქ. თბილისი, მე-2 ხეივანის ქუჩა N8-6, ფართობი - 141 კვ.მ. ღირებულება შეფასების თარიღისათვის არის 4626 აშშ დოლარი. ეს ღირებულება ნაკლებია სახელშეკრულებო ფასზე - 6000 აშშ დოლარი. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ასევე ხელშეკრულების დადების თარიღს 2015 წელს, ხოლო საჩივარი კომისიაში შემოტანილია 2019 წელს, ხელშეკრულების დადების შემდეგ რამდენიმე წლის შემდეგ.

7.9 შედეგად ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატს, როგორც კომპანიის კანონისმიერ წარმომადგენელს, მისი კლიენტისგან უძრავი ქონების შეძენით არ დაურღვევია ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმები.

7.10 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.5 მუხლის შესაძლო დარღვევაზე კეთილსინდისიერების ნაწილში.

7.11 „ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავედროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია

(სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას899-1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე 084/18, პარ. 6.2).

- 7.12 კეთილსინდისიერების ვალდებულება ადვოკატის ზოგადი ვალდებულებაა, რომელიც არ არის მხოლოდ ადვოკატებისთვის დამახასიათებელი ვალდებულება და ის ეკისრება სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. შესაბამისად ადვოკატის მიერ მისი დაცვის ვალდებულების შემოწმება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, სადაო ქმედება არ არის რეგულირებული სხვა პროფესიული ვალდებულებით. სხვა მიდგომის შემთხვევაში ცხადია, რომ ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა, კონფიდენციალობის, ინტერესთა კონფლიქტის, კლიენტისთვის ქონების დაუბრუნებლობის და ა.შ. ამავდროულად არის არაკეთილსინდისიერი მოქმედებაც ადვოკატის მხრიდან. კონკრეტულ შემთხვევაში საპროცესო კოლეგიის აზრით არაკეთილსინდისიერება გამოიხატა ადვოკატის მიერ ხელშეკრულების სავარაუდოდ მოჩვენებითად გაფორმებაში და ნასყიდობის თანხის გადახდის ფიქტიურად ჩაწერაში. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ზეპირი შეთანხმების მიხედვით, ვ. მ.-ს მიწის ნაკვეთი მისთვის უნდა დაებრუნებინა, რაც ადვოკატმა არ შეასრულა, ხოლო უძრავი ნივთის საფასური არ მიუღია.
- 7.13 ხელშეკრულების 2.2 მუხლის მიხედვით, მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასური გადახდილია სრულად, ხელშეკრულების ხელმოწერამდე ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით, რასაც მხარეები ადასტურებენ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. აღნიშნული ხელშეკრულება ხელმოწერილია გამყიდველის - გ. ხ.-სა და მყიდველის - შპს „საინვესტიციო სახლი ----“-ის დირექტორის ვ. მ.-ის მიერ.
- 7.14 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ „მაშინ, როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადაო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს“ (ეთიკის კომისიის 2019 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე 166/18, პარ. 6.4). მოცემულ შემთხვევაში, გ. ხ.-სა და ადვოკატ ვ. მ.-ის განმარტებები უპირისპირდება ერთმანეთს, თუმცა წერილობითი ხელშეკრულებით გამყიდველის ნება, უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე დასტურდება მისივე ხელმოწერით.
- 7.15 გ. ხ.-ს პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და ადვოკატისაგან ნასყიდობის საფასურის მიღების ფაქტებს, განხილვის კოლეგია მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პოზიციაზე (2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე დს-შ/5-15, გვ.5) რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს, ანუ ისეთ ქცევის წესებს, რომლებიც უკავშირდება საადვოკატო საქმიანობას. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს:

ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას“. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში და ვერ იმსჯელებს გამყიდველის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული საკითხი არ რეგულირდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით და არის სასამართლოს განსჯადი საკითხი.

5.1 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

1. დისციპლინურ საქმეზე №068/19 ადვოკატ ვ. მ.-ის /სიითი N5187/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი:

/ირაკლი კორმახია/

კოლეგიის წევრი:

/ხათუნა ფურელიანი/